

**ქვეყნის საკოორდინაციო საბჭო**

**საზედამხედველო კომიტეტი**

**საველე ვიზიტი გორში**

**2017 წლის 23 იანვარი**

**ვიზიტის საიტები:**

1. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი - გორის განყოფილება
2. ტუბერკულოზის ცენტრი გორში (გორმედი)
3. ნაბიჯი მომავლისკენ (ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი)

**ვიზიტის მიზანი იყო** შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის დაფინანსებით მიმდინარე GEO-H-NCDC პროგრამის მიმდინარეობის სტატუსის განხილვა და აქტივობების განხორციელების სირთულეების იდენტიფიცირება. ვიზიტის დამატებითი მიზანი იყო პროგრამების ბენეფიციარებთან შეხვედრა პირველადი წყაროდან სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული კმაყოფილების ან საჭიროების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

**ვიზიტის ამოცანები:**

1. გლობალური ფონდის დაფინანსებით მიმდინარე პროგრამების განხორციელების შესახებ ქვე-კონტრაქტორებიდან და ქვე-ქვე-კონტრაქტორებიდან ინფორმაციის შეგროვება;
2. გრანტის განხორციელების პროცესის გამოწვევების იდენტიფიცირება;
3. პროგრამების განხორციელების გაუმჯობესების გზების განხილვა.

**მეთოდოლოგია:**

- ✓ გასაუბრება პროექტის განმახორციელებლებთან;
- ✓ გასაუბრება პროგრამების ბენეფიციარებთან.

**ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი - გორის განყოფილება,**

**მონაწილეები:**

თამარ ბორცვაძე - ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე – ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ევატერინე რუაძე - დკსჯეც, პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

ხათუნა კოლოტაშვილი - პროგრამის კოორდინატორი

ლიანა ფიცხელაური - სოციალური მუშაკი

თამარ ლომსაძე - ექიმი-ნარკოლოგი

ირმა ღვინიაშვილი - ექიმი-ნარკოლოგი

ნადია ფსუტური - ფსიქოლოგი

დალი კერესელიძე - ექთანი

ციცინო ადუაშვილი - უფროსი ექთანი

**მიმოხილვა** - საზედამხედველო კომიტეტის (სკ) მანდატის და ვიზიტის მიზნის მოკლე წარდგენის შემდეგ საუბარი შეეხო პროგრამის ზოგად მენეჯმენტს, გლობალური ფონდის ქვე-კონტრაქტორის მიერ ფინანსური რესურსების მიწოდების დროულ ხასიათს, მედიკამენტების მარაგს და განხორციელების მსვლელობის გამოწვევებს.

განყოფილების დირექტორმა, ხათუნა კოლოტაშვილმა უზრუნველყო მით ცენტრის სამუშაო პროცესის დაკვირვება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეთადონის მოწოდების პროცესში არ აღინიშნება დაგვიანება და რომ არსებობს მარაგი მიმდინარე წლის აპრილის თვემდე. ამჟამად, ცენტრი ემსახურება 67 ბენეფიციარს, რომლებიც რეგულარულად მიდიან ცენტრში მკურნალობის მისაღებად.

ცენტრის პერსონალმა აღნიშნა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას გლობალური ფონდის მიერ მეთადონის პროგრამის დაფინანსების შეწყვეტის ჭრილში მიმდინარე მოვლენების შესახებ. თუმცა მათ აქვთ იმედი, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს დაბრკოლების გარეშე სერვისის მიწოდების ამჟამინდელ დონის შენარჩუნებას.

**დაკვირვება** - ბენეფიციარებისათვის ადექვატური კონსულტაციის მიღების ერთ-ერთ ბარიერს წარმოადგენს შეზღუდული სივრცე. ფიზიოლოგი და სოც.მუშაკი განთავსებულნი არიან ერთსა და იმავე ოთახში და აწარმოებენ კონსულტირებას ერთსა და იმავე დროს. ამრიგად, ხშირად დგება ერთ-ერთი სპეციალისტის მიერ კონსულტაციის დროს ოთახის დატოვების საჭიროება. ეს ქმნის არასასურველ გარემოებას ბენეფიციარის მიერ ადექვატური სერვისის და კონსულტაციის პირისპირ მიღებისათვის.

**ბენეფიციარის ხედვა** - მეთადონის ცენტრში სერვისის მისაღებად მისულმა ბენეფიციარმა გამოთქვა კმაყოფილება სერვისებით და პერსონალის მეგობრული დამოკიდებულებით. თუმცა მან გამოთქვა სურვილი მედიკამენტის სახლში წასაღებად გასაცემ დოზასთან დაკავშირებით. მისი თქმით, მას ყოველდღიურად უწევს სოფლიდან გორში ჩამოსვლა მკურნალობის მისაღებად, რაც დაკავშირებულია დიდ ფინანსურ დანახარჯთან.

ბენეფიციარი ფლობდა ინფორმაციას ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის დაფინანსების შესაძლო შეწყვეტის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ მისი დღიური ტრანსპორტირების ხარჯების გათვალისწინებით, მისთვის შეუძლებელი იქნება მკურნალობის გაგრძელება, იმ შემთხვევაში თუ სერვისი ფასიანი გახდება.

**ტუბერკულოზის ცენტრი გორში (გორმედი)**

## **მონაწილეები:**

თამარ ბორცვაძე – ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

მანანა ღონღაძე – ტბ პროგრამის კოორდინატორი

ეკატერინე რუაძე - დკსჯეც, პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

მაკა დანელია – დკსჯეც, პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტბ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

შეხვედრა მიეძღვნა რეგიონში ტუბერკულოზის ეპიდემიოლოგიურ სიტუაციის, სერვისის ადექვატური მიწოდების არსებულ და პოტენციურ სირთულეებს და მათზე რეაგირების გზების განხილვას. ყურადღება დაეთმო შემდეგ საკითხებს:

**ანტი-ტუბერკულოზური მედიკამენტების მიწოდება და მათი ერთი საიტადან მეორეზე გადაცემა** - ტბ რეგიონული კოორდინატორის, მანანა ღონღაძის თქმით, ანტი-ტუბერკულოზური მედიკამენტების მიწოდება (ტბ მედიკამენტების შესყიდვა ამჟამად ხორციელდება გლობალური ფონდის ფინანსური მხარდაჭერით), ისევე როგორც მათი დისტრიბუცია სერვისის მიწოდების საიტებზე და შევსება რეგიონის მასშტაბით ხორციელდება დროულად. თუმცა, არსებობს, საჭიროების შემთხვევაში, მარაგის ნარჩენის სიატიდან საიტზე გადაცემასთან დაკავშირებული სირთულეები, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ფინანსური პროცედურების ან მიწოდების მექანიზმის გაუმართაობას და საჭიროებს დამატებით შესწავლას და სათანადო რეაგირებას. აღნიშნული, ტუბერკულოზის საიტებს ტბ მედიკამენტების ჭარბი მარაგის (ასეთი მარაგი შეიძლება დაგროვდეს ცენტრში პაციენტის მკურნალობიდან გასვლის შემთხვევაში), საჭიროების შემთხვევაში, სხვა საიტზე გადაცემის შესაძლებლობას მისცემს.

**გვერდითი მოვლენების მართვა** – ტბ მედიკამენტების გვერდითი მოვლენების სამართავი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შესაძლებელია მარტის ბოლომდე. შემცირებული დაფინანსების პირობებში, აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ცენტრი ვერ შეძლებს მედიკამენტების მიწოდების უზრუნველყოფას. ეს შეიძლება დამატებითი ტვირთი აღმოჩნეს იმ პაციენტებისათვის, ვისაც სოციალურ-ეკონომიური გარემოებების გამო არ ძალუძთ საჭირო მედიკამენტების შეძენა. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ჯანდაცვის მიმწოდებლების მხრიდან გართულებების მართვის მარცხი. მიუხედავად იმისა, რომ პაციენტებს, დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, მიეწოდებათ მონეტარული წახალისება (გლობალური ფონდის პროგრამის და სახელმწიფოს დაფინანსების ფარგლებში), აღნიშნული შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს სასურველი შედეგების მისაღებად, განსაკუთრებით რეზისტენტული ტუბერკულოზის რთული და ძვირადღირებული მართვის თვალსაზრისით.

**დამყოლობის მხარდაჭერის გაძლიერება** – ცენტრმა დაიქირავა ორი თანამშრომელი (ერთ-ერთი - ყოფილი ტნ პაციენტი), რომლებიც იმუშავენ პაციენტებისათვის დამყოლობის მხარდაჭერაზე. დამყოლობისათვის მიძღვნილი სპეციალური ტრენინგების/სესიების გამართვა დაგეგმილია მარტში. კოორდინატორი იმედოვნებს, რომ ამგვარი მიდგომის შედეგად დიდწილად გაიზრდება დამყოლობა. ამჟამად, გორში დარეგისტრირებულია 37 პაციენტი რეგულარული ტუბერკულოზით და 15 პაციენტი XDR ტუბერკულოზით. რეგიონში რეგულარული ტბ პაციენტების საერთო რაოდენობა შეადგენს 73-ს, ხოლო XDR ტუბერკულოზის პაციენტების რაოდენობა - 31. რეგიონის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს M/XDR ტბ პაციენტების რიცხვის ზრდა.

**2017 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა M/XDR ტბ პაციენტების არანებაყოფლობითი იზოლაციის და გამოვლენის შესახებ რეგულაცია.** თუმცა ცენტრის თანამშრომლების აზრით არ არსებობს აღნიშნულის აღსრულების სათანადო მექანიზმი.

არსებობს მონაცემთა შეგროვებასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ძირითადად უკავშირდება არა-ელექტონულად, სპეციალური ფორმების შევსების დამკვიდრებულ პრაქტიკას, თუმცა შესაძლოა დაფიქსირდეს შეფერხება მონაცემების ელექტრონულად შეყვანისას. სასურველია ამ მიმართულებითი კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება.

## **ნაბიჯი მომავლისკენ**

### **მონაწილეები:**

თამარ ბორცვაძე – ქსს, საზედამხედველო კომიტეტის თავმჯდომარე

ირინა გრძელიძე - ქსს, აღმასრულებელი მდივანი

ნათია ხონელიძე – ქსს, ადმინისტრაციული ასისტენტი

ეკატერინე რუაძე - დკსჯეც, პროექტების განმახორციელებელი ერთეული, აივ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

მაკა დანელია – დკსჯეც, პროექტების განმახორციელებელი ერთეული, ტბ პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების ოფიცერი

მარიამ ბაინდურაშვილი - ნკტ კონსულტანტი

ბაჩანა ხუჩიშვილი - ნკტ კონსულტანტი

ქეთევან ბიძინაშვილი - გამგეობის თავმჯდომარე

შეხვედრის დროს განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

**ცვლილებები რეგისტრაციაში** -ორგანიზაციამ ახლახან მოახდინა ბენეფიციარების რეგისტრაციის 7-კოდიანიდან 15-კოდიან საიდენტიფიკაციო სისტემაზე გადასვლა. გადასვლის პროცესი განხორციელდა შეუფერხებლად, რადგანაც ორგანიზაცია ადრე იყენებდა ამ სისტემას ტესტირებისათვის.

**გასვლითი აქტივობების გაფართოება** - მობილურმა ამბულატორიებმა მისცეს ორგანიზაციას შესაძლებლობა განხორციელებინათ აუთორიზი და ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლების თემის მობილიზება შიდა ქართლის და კახეთის რეგიონების მიღმა (ორგანიზაციას აქვს ფილიალი თელავში). ცოტა ხნის წინ ორგანიზაციამ გააფართოვა თავისი აქტივობა სამცხე-ჯავახეთის მიმართულელებით, რაც წარმატებული აღმოჩნდა. ორგანიზაციის თანამშრომლები იმედოვნებენ, რომ ზიანის შემცირების სერვისების საჭიროების მქონე ადამიანების მოცვა გაფართოვდება.

**ყოვლისმომცველი მიდგომა** - გლობალურმა ფონდმა წამოიწყო აივ-ის პრევენციისადმი ყოვლისმომცველი მიდგომის განხორციელება, რაც ითვალისწინებს, როგორც ნარკოტიკის ინიექციური მომხმარებლების, ასევე მათი სქესობრივი პარტნიორების საჭიროებებზე რეაგირებას. სქესობრივი ჯანმრთელობის და საჭიროებებზე დაფუძნებული სხვა სერვისებზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს აღნიშნული მიდგომის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზიანის შემცირების მთელ ცენტრში კონსულტაციების ყოველთვიური ლიმიტი გაიზარდა 15-დან 25-მდე და ნარკოტიკის ინიექციურ მომხმარებელთა პარტნიორებსაც ფარავს. ცენტრის თანამშრომლები აღნიშნულს მიიჩნევენ სგდ და აივ-პრევენციის აქტივობების გაუმჯობესებული გამოსავლებისკენ გადადგმულ ნაბიჯად.

ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ არ დაფიქსირდა პრობლემა მენეჯმენტთან, ფინანსური რესურსების გადარიცხვასთან და დონორთან კომუნიკაციის თვალსაზრისით. თუმცა გაოთქვა დკეც/გლობალურ ფონდთან ნაკლებად ხშირი (კვარტალური ყოველთვიურის ნაცვლად) ანგარიშგების სურვილი. სასურველია სპეციალური, მარტივად შესავსები ანგარიშგების ინსტრუმენტის შემუშავება. გარდა ამისა, გამოითქვა სურვილი სპეციალური ინსტრუმენტის, გზამკვლევის არსებობის თაობაზე, რაც სოც.მუშაკს მისცემს ბენეფიციარის საჭიროებაზე ადექვატური რეაგირებისათვის, მასთან წვდომის, ყოვლისმომცველი პროფილის შექმნის და ზიანის შემცირების ინტერვენციების საჭიროებების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ძირითადი მიმღების თქმით ნემსების და შპრიცების გაცვლის პროგრამის გაიდლაინები და სტადნარტები შემუშავების სტადიაშია და ქვე-ქვეკონტრაქტორის მიერ წამოწეული საკითხი იქნება გათვალისწინებული აღნიშნულ დოკუმენტებში. საჭიროების შემთხვევაში მოხდება კვალიფიკაციის ამაღლება.

**გარდამავალი გეგმა** - ორგანიზაცია გარდამავალი პერიოდის დაგეგმვის ფარგლებში აქტიურად არის ჩართული ზიანის შემცირების გაიდლაინების და პროტოკოლების შემუშავებაში. დამატებით, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სამთავრობო უწყებებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამშრომლობა და რესურსების გამოყოფა გაგრძელდება რეგიონში ზიანის შემცირების ინტერვენციების მდგრადობის შესანარჩუნებლად.

**ბენეფიციარის ხელვა** - ერთ-ერთმა ბენეფიციარმა გამოთქვა ინიექციის შემდგომი სისხლდენის შესაჩერებლად სპეციალური პლასტერების და ბამბის დისტრიბუციის სურვილი.

